2. მამაშენსა და შენს ბიძას რამაზს ჩემზე ღილი ამაგი აქვთ
3. ჩვენ ექიმებმა ახალი მოთხოვნები წამოგუყვნეთ მინისტრს
4. დავითის ცოლი ნატა სიხარულით მიეგება სტუმრებს
5. მათ წინ მიუძღოდა თეთრცხენიანი მხედარი შუბით ხელში
6. ჩვენ ბიჭები ცხვირას ვეძახდით მას
7. მათი თქმით თელავში ჩემს ქალაქში უნდა აშენებულიყო ახალი თეატრი
8. გოგის დამ სოფიომ გასეირნება მოინდომა
9. იქვე იმერეთის ულამზესი სოფელია სავანე
10. თქვენ ბავშვები ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ, ყველას გიხარიათ საჩუქრები

11. ჩემს კლასელს ზურა ებრალიძეს კაცის დაჭრა ბრალდებოდა
12. ვაკეში დგას გალაკტიონის ძეგლი ცნობილი ქართველი პოეტის ძეგლი
13. გურამი ჩემი მეგობრის უფროსი ძმა სოფელში ცხოვრობს
14. მამამისი გიორგი ანდრონიკაშვილი მსახიობი იყო
15. არ მომწონს ამბობს დავითი ჩვენი თარჯიმანი
16. გზა გუდაურამდე დაახლოებით ასი კილომეტრი ორ საათში გავი-
არეთ
17. სხვამ თუნდაც იმ ბავშვმა შენზე უკეთ იცის ჩემი ღარდი
18. საქართველოს მინერალური წყალი მაგალითად ბორჯომი საქვეყ-
ნოდ არის ცნობილი
19. ყვავილები ჩვენც გვიყვარს განსაკუთრებით ქალებს
20. მისი ქმარი გვარად იოსელიანი მწერალი იყო

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები განკუთრებულ გარემოებასთან:

1. სწორედ ამ მაღლობზე ფიქრის გორაზე იდგა აღრე ჩემი სახლი
2. გაღმაუბანში მდინარის იქით მანქანა გაჩერდა
3. მარტო ლაღო იყო აქ ამ ბარში
4. გზის იქით პარკში ჩვენი ბავშვები თამაშობდნენ
5. წინათ აქ ირგვლივ ყველგან მინდვრები იყო
6. ეზოს გარეთ გზიდან ვიღაც იმახდა

7. ჩვენ მარჯვნივ დასავლეთით უძოს მთა მოჩანს
8. გუშინ ძალიან გვიან როცა უკვე მეძინა სტუმრები მეწვივნენ
9. საღამოობით მეცადინეობის შემდეგ ჩვენ მეგობრები ანეგლოტებს ვყვებოდით ხოლმე და ბევრს ვიცინოდით
10. შაბათს დილით ადრე შვიდ საათზე გავიღვიძე
11. დღეს დილას სანამ სამსახურში წავიდოდი საშინლად გაწვიმდა
12. გიორგის სხვათა შორის თავიდან არ ჰქონდა მიღებული ეს გადაწყვეტილება
13. ხალხი რაიონებში ღარიბად ცხოვრობს ხელმოკლედ საწყლად
14. მას უნდოდა თავისებურად მამაშვილურად მიაღერებოდა
15. ეს მოხდა გუშინ საღამოს შვიდ საათზე
16. მან წყნარად თუმცა გარკვევით განაცხადა თავისი მოთხოვნა
17. მაშინ ჩვენი ბაბუების დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო
18. გზას უნებურად დავადექი გაუცნობიერებლად
19. ძველ თბილისში მტკვრის ნაპირას ჰქონდა მამისეული სახლი
20. ყველა ამომრჩეველმა მტკიცედ თუმცა აგრესიულად განაცხადა თავისი პოზიცია.

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები „გარდა“ და „მოუხედავად“ თანდებულნიან სახელებთან:

1. სტუდენტებს გარდა რამდენიმე მათგანისა არ უნდოდათ ახალი ლექტორი

2. ყველა თქვენგანი გარდა ერთისა უნდა ახლავე წავიდეს
3. გიორგის ხანჯლის გარდა ძველებური ფარიც ჰქონდა
4. მიუხედავად იმისა რომ დაბერდა მაინც ლამაზი იყო
5. მიუხედავად სიბნელისა მაინც არაფრის შემშინებია
6. გამგეობის წევრები შალვასა და რამაზის გარდა ქალს ამართლებ-
დნენ
7. ჭკუის გარდა ტაქტიც საჭირო იყო.
8. ბავშვის ტირილი დედის გარდა არავის გაუგია
9. მიუხედავად ამისა ოჯახი არ დაანგრია
10. გარდა ამ განცხადებისა კიდევ სხვა განცხადებებიც შემოვიდა

*დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები ჩართულ სიტყვებსა
და გამოთქმებთან:*

1. კონფერენცია ჩემი აზრით მართლაც საინტერესო იყო
2. მართლაც სასიხარულო ამბავი იყო ჩვენთვის
3. ერთი სიტყვით საქმე კარგად მიდიოდა
4. ასეთი იყო კრების ჩატარების ასე ვთქვათ პირველი გეგმა
5. რეფორმის შედეგად ასე თუ ისე სკოლებში მდგომარეობა
შეიცვალა
6. მისი ვარაუდით ზაფხულში ბინების ფასი უფრო გაიზრდებოდა
7. ერთი სიტყვით ჩვენმა მეგობარმა მოგვატყუა

8. მარია სხვათა შორის ახალ თანამდებობაზე დანიშნეს
9. რასაკვირველია ჩვენ ყველას მოგვეწონა ახალი ფილმი
10. ელენე ცოტა არ იყოს შემცბარი იყო გაგონილით
11. ყოველივე ეს ზურას წარმოდგენით საოცრება იყო
12. ერთი სიტყვით მე მისი ატანა ასე ვთქვათ აღარ მინდა
13. როგორც გეტყობათ ამ ქალაქში პირველად ხართ
14. მან რა თქმა უნდა კარგად იცოდა ენები
15. ბუღალ ჩემი ძმაც იქ იყო
16. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა ჩემი ამბავი
17. გაზეთის ცნობით რუსთავეში კულტურის დღეები დაიწყო
18. ხელმძღვანელობა როგორც ხშირად ხდება ხოლმე ივიწყებს თავის დაპირებებს
19. ცხადია იმის თქმა არ მინდა რომ ჩვენში მხოლოდ მანკიერებებს მოუკიდია ფეხი
20. როგორც მოგახსენეთ 26 მაისს გაიმართება სხლომა ამ საკითხების შესახებ
21. მას აღარავინ უკრძალავდა ჭამას პირიქით აძალუბდნენ
22. იცით ჩვენ აქ სხვანაირი წესები გვაქვს
23. ეს კაცი როგორც თვითონ მიხვდით ჩემი უფროსი იყო
24. მის სიკვდილს ეტყობა არავინ დასწრებია
25. ახალმა თანამშრომელმა ინგლისური საკმაოდ კარგად იცოდა სამაგიეროდ ქართული უჭირდა

26. ნატო როგორც ყოველთვის აგვიანებს
27. როგორც ბებიჩემი ამბობს მთავარია ბავშვი ჯანმრთელი იყოს
28. სხვათა შორის ტორტი გემრიელი იყო
29. როგორც უკვე აღვნიშნეთ თხზულება ძალიან საინტერესოა
30. კატო როგორც ხდება ხოლმე გაჯიუტდა
31. მე შენი ჭირიმე უკვე დაუბერდი
32. ზვიადს როგორც უკვე გითხარით არ სცაღლია
33. სხვათა შორის ეს საქმე მე წამოვიწყე
34. ნუცა კლასელების თქმით საუკეთესოა
35. როგორც უკვე მოგახსენეთ შეხვედრა ორ საათზე გაიმართება
36. მშვენიერი ვახშამი გამოგვივიდა შენ ხარ ჩემი ბატონი
37. ვაჟს ღვთის წყალობით ძალ-ღონე არ აკლდა.
38. ქალაქში ჩვეულებრივ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებია.
39. გეფიცები ჩემს შვილს არაფერი დაუშავებია
40. როგორც ვხედავ ფული გამოგელიათ
41. ელზას როგორც ბოროტი ენები ამბობენ უცნაური გატაცებები აქვს
42. რა თქმა უნდა ის დამნაშავეა
43. ელენეს ჩემდა გასაოცრად ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა
44. მოკლედ ამ საქმეს ხელს ვერ მოგვიღებ
45. თუ ეს დაგაწყნარებთ გეტყვით რომ მშვენიერი შედეგია

46. რეზოს რასაკვირველია ძალიან გაუმართლა
47. ნოდარს კოლეგების ვარაუდით ბრწინვალე კარიერა ელოდა
48. სხვათა შორის ზურა კარგი მონადირეა
49. ლიზა როგორც ყოველთვის არაჩვეულებრივად გამოიყურება
50. მეგობრები უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ახლო მეგობრები ძალიან მეხმარებიან
51. გადაცემა ცხადია ძალიან პოპულარულია
52. აშკარაა ეს გოგო წარმატებას მიაღწევს
53. ეს მუზეუმი როგორც ვხედავ განუახლებიათ
54. ჩქარა გენაცვალე გვაგვიანდება
55. გოჩა ასე თუ ისე დამშვიდდა
56. სამწუხაროდ საღამო ჩაიშალა
57. ჯერ ერთი ეს ქალი დედაშენია, მეზე მეორე დამნაშავე არ არის
58. როგორც მოსალოდნელი იყო მატჩი ფრედ დამთავრდა
59. ერის გაერთიანებას საზოგადოდ ძლიერი ადამიანები ახერხებენ
60. პიანისტს ჟურნალისტების ნათქვამს, თუ დავეყრდნობით პრიზი არ ეკუთვნოდა
61. ბავშვს მე, რომ მკითხო ორიანი არ ეკუთვნოდა
62. ნათიას ექიმებს თუ დაუეჯერებთ არაფერი სჭირს

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები მიმართვასთან:

1. ჩემო მკითხველო გულდასმით წაიკითხე ჩვენი გაზეთი
2. სწრაფად და ხარისხიანად იმუშავეთ მეგობრებო
3. წავიდეთ ბატონო რამაზ გვაგვიანდება სხდომაზე
4. უკაცრავად ქალიშვილო სად არის თქვენი უფროსი
5. რა დაგემართა კაცო აღარ იტყვი
6. ნუ გწყინს ჩემო კარგო ჩემი რჩევა-დარიგებები
7. შვილო ჭკვიანად იყავი
8. რას ბრძანებთ ბატონო ლევან ვერ დაგეთანხმებით
9. ქალბატონო ფრთხილად აქ გადასვლა არ შეიძლება
10. ბავშვებო ქეთი ელენე სადა ხართ

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან:

1. არა წაიღეთ ეს სურათი აქედან
2. დიას ეს ჩემი მეგობარია
3. კი ნამდვილად თქვა ევ სიტყვა
4. არა ეს საქმე არ გამოვა
5. აბა რა გითხრა ჩემო კარგო ახალი
6. აუ კიდევ თოვს რა უბედურებაა რა
7. ეჰ რა დრო იყო მაშინ

8. ვაი რა ეშველება იმ კაცს არ ვიცი
9. აფსუსს რა ლამაზი იყო აქაურობა და რას დაემგვანა
10. ყოჩაღ რამ მოგაფიქრა ეგ
11. ვაიბე როგორ მტკივა თავი
12. უი შე საწყალო ახლა რას აპირებ
13. უიმე ისეთი ამბავი გავიგე რომ..
14. ხო დედა გავიგე ხო აუცილებლად მოვალ
15. აუუ რა მაგარი მანქანაა

დასვით შესაბამისი სასკენი ნიშნები რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში:

1. ლამაზია თბილისის ცენტრი მაგრამ ძველი უბნები მაინც სჯობია
2. მარი მილანში პირველად იყო ხოლო რომში ბევრჯერ ყოფილა
3. გადიოდა დღეები ნინო კი არ ჩანდა
4. ელენე მასწავლებლისაკენ გაიქცა მაგრამ წინ მოსწავლეები გადაე-
ლობნენ
5. ეკას ან სწავლა უნდა გაეგრძელებინა ან სამსახური უნდა ეშოვა
6. ბავშვს აღარც გართობა უნდოდა აღარც საჩუქრები
7. ის კანონგარეშე მოქმედებდა ანუ ყველანაირად უუფლებო იყო მი-
სი ქმედება
8. მას რომ ისეთი სამსახური ჰქონოდა როგორიც უნდოდა უფრო
ხალისით იმუშავებდა

9. ვანო დარწმუნებული იყო რომ ამდენ საქმეს ვერ გააკეთებდა
10. სადაც ქეიფი იყო მერაბი იქ განდებოდა ხოლმე
11. ბიჭი იქით წავიდა სადაც ბევრი ხალხი იდგა
12. მაკა ყველაფერს ხედავდა რაც მის სამსახურში ხდებოდა
13. მასწავლებელი რომ შეხვდა ცოტა დაიბნა
14. ფული რომ ჰქონოდა აუცილებლად იყიდდა იმ სახლს
15. მოხდა ის რაც არასოდეს მომხდარა
16. როცა მოსამართლემ განცხადება წაიკითხა ხალხმა ამოიგმინა
17. რამდენადაც საჭიროა ახალი თანამშრომლის აყვანა იმდენად აუცილებელია კომპეტენტური კანდიდატურის შერჩევა
18. ვიდრე დედა მოვიდოდა სადილი გავაკეთე
19. სანამ სიტყვას იტყვი დაფიქრდი
20. გათენდა თუ არა გავიღვიძე
21. მაშინ კი როცა პატარები დავინახე გული ამიბგერდა
22. ბატონი ვახტანგი რომელიც სამინისტროში მუშაობდა ხვდებოდა უცხოელ სტუმარს
23. სანდრო რომელიც დედას ახლდა საპროტესტო მიტინგზე გაოცებული შეკყურებდა ხალხს
24. დღეს დილით სანამ სამსახურში წავიდოდი ვუსმენდი ჩვენს პრეზიდენტს
25. ლევანი მიხვდა რაშიც იყო საქმე
26. მე ვიცი რუსეთი ჩაერევა ამ საქმეში
27. ირაკლი მიხვდა მათ ვეღარ დაიჭერდა

28. ეტყობოდა რალაცას არ ამბობდნენ
29. ის მიხვდა რომ ამ საქმის წამომწყები გიორგი უნდა ყოფილიყო
30. ან მე თვითონ მოგიტანთ ან ვინმე გამაყოლეთ

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები (წერტილ-ძიძიე, ორწერტილი, ტირე, ფრჩხილები, ბრჭყალები):

1. ბატონმა იგორმა ჟურნალისტებთან საუბრისას გამოყო რამდენიმე საკითხი საქართველო-რუსეთის დელეგაციათა მოლაპარაკებების ორდღიანი რაუნდი სამხედრო საკითხი საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა და ა.შ.
2. სექტემბრის პირველი რიცხვები იყო ბავშვები მიდიოდნენ სკოლაში იცინოდნენ ხტოდნენ თამაშობდნენ ყურთასმენა აღარ იყო
3. იაკობ ხუცესი მარჯვედ არჩევს ორიგინალურ შედარებებს „ვითარცა მხეცი მძვინვარეი, ყიოდა...“ „ვითარცა კრავი მგელსა გამოულო ხელთა მისთა“ „დადნა ვითარცა ავლი“
4. ევროპაში ბევრჯერ ვარ ნამყოფი პარიზი რომი ბერლინი ფეხით მაქვს შემოვლილი
5. ყველა მიატოვა დედ-მამა ძმა ამხანაგები
6. ამჯერად გარკვეულ შეთანხმებას მივალწევთ განაცხადა საოვლსკიმ
7. ევროსაბჭოს ლიდერმა განაცხადა პრეზიდენტის-სამშვიდობო ინიციატივა ძალზე მნიშვნელოვანია
8. ამ დროს ვილაცამ წამოიძახა ნინოს ვკითხოთ აზრი
9. გამოფენა სასტუმრო მეტენში მოეწყობა
10. ახალ სპექტაკლს ქართლის ცხოვრების მიხედვით დგამენ

დასვით შესაბამისი სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან:

1. მოხუცმა შეილიშვილს სთხოვა შეილო ჩემი ჯოხი მომაწოდე
2. ილია ამბობს ბრიყვი ამბობენ კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია
3. ხვალ ნამდვილად მოთოვს გაიფიქრა ნოდარმა ნეტავ გზა არ ჩაიკეტოს
4. ეს სახლი ასი წლისაა აუხსნა მოხუცმა ქალაქელ სტუმარს
5. ბარათაშვილი მიმართავს ბოროტ სულს სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად
6. ოცი წლის წინ გაიხსენა სანდრომ ზუსტად ამ ადგილას ვიყავით.
7. ჩემი გაკეთებული არ არის თავი იმართლა ზურამ
8. იმასაც ამბობენ ჩაურთო მომხსენებელმა მალე ბევრ ჩვენგანს გაათავისუფლებენ
9. ნიკამ ხმამაღლა დაიძახა გურამ სტუმრები მოვიდნენ
10. ვის მირჩევთ ვინ უნდა დაინიშნოს ამ თანამდებობაზე იკითხა რექტორმა
11. ვინ დარეკა ჰკითხა დედამ გიორგის
12. ჯარისკაცებო მიმართა ოფიცერმა მათ თქვენს ადგილებს დაუბრუნდით
13. მე ვაპბობ ჯიუტად იმეორებდა კაცი ეს საკითხი დღესვე უნდა გადაწყდეს
14. ქალბატონო იცით რას გეტყვით ჩაერია საუბარში მდივანი ეს თქვენი საქმე არაა

15. პატარა ფიქრობდა როცა გავიზრდები ჩანთას მიყიდიან და სკოლაშიც შემიყვანენ
16. არ შეგეშინდეს მიუბრუნდა ლაშა თეას ჩემი ძალი გოგონებს არ ერჩის.
17. სტუმრები მცხეთაში გავასეირნოთ წინადადება წამოაყენა ზურამ ამ დროს იქაურობა ძალიან ლამაზია.
18. შენ გაიხარე შვილო დალოცა ქალმა უცნობი
19. გახსოვთ აქ რომ ვთამაშობდით ბაეშვობაში იკითხა თორნიკემ
20. დედა, გამიშვი ლალისთან შეეხვეწა ეკა დედას ჩემი ყველა მეგობარი იქ არის
21. ხმაძალა განაცხადა მე ვტოვებ სხდომათა დარბაზს
22. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება ყვიროდა გაბრაზებული ოთარი
23. ნეტავ როგორ გადაწყდება ეს საქმე ფიქრობდა ხალხი
24. ნამდვილად გიყვია ეუბნებოდა ნინო თავის მეგობარს
25. არავინ არ დააგვიანოს ხვალ მოითხოვა უფროსმა

დასვით გამოტოვებული სასვენი ნიშნები დიალოგში:

1. გამარჯობა
გამარჯობა როგორა ხართ
გმადლობთ არა გვიშავს
რატომ დაიგვიანე
ტრანსპორტმა დააგვიანა

ჰო ახლა გასაგებია

შეუდგეთ საქმეს

სწორედ მაგისტრის მოვედი

დღეს დავალელები გავინაწილოთ ხვალდან კი მუშაობა დავიწყოთ
თანახმა ვარ

2. პური ახალია?

რა თქმა უნდა

ეს ფქვილი სადაურია

ქართული

რა ღირს

90 თეთრი

ამიწონეთ ნახევარი კილო

კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ

არა გმადლობთ

3. ამ ზაფხულს სად წახვალ დასასვენებლად

აღბათ ბორჯომში

მე ბათუმში მინდა წასვლა

ბათუმი ლამაზი ქალაქია

როცა არ წვიმს კი

მე თუ მკითხავ როცა წვიმს მაშინაც ლამაზია

4. გუშინ სად იყავი

მანანასთან ჩაიზე მიგვიწვია

მანანა სად ცხოვრობს

საბურთალოზე იოსების ქუჩაზე

გვიანობამდე დარჩით

ჰო სასიამოვნო საღამო იყო და დრო შეუძმნევლად გავიდა

სახლში რით დაბრუნდით

მაია მანქანით იყო და იმან წამოგვიყვანა

გადააკეთეთ პირდაპირი ნათქვამი ირიბ ნათქვამად შეზღვევი ნიშუშის მიხედვით:

– ქლაქის ახალი ხელმძღვანელობა გაცილებით პერსპექტიულია,
– ირწუნებოდა ჟურნალისტი.

ჟურნალისტი ირწუნებოდა, რომ ქლაქის ახალი ხელმძღვანელობა გაცილებით პერსპექტიული იყო.

1. – ჩემი ბრალი არ არის, – უხსნიდა გოგონა მეგობრებს.

2. კრიტიკოსი წერდა: „ნაწარმოები სრულიად გამორჩეულია მწერლის შემოქმედებაში“.

3. – საუცხოო პეიზაჟია, – ბრძანა სტუმარმა.

4. – კარგი, ამ საქმეს შე გვაკეთებ, – დაეთანხმა მარია ლუკას.

5. – თქვენს მოთხოვნებს ვერ შევასრულებთ, – აევსენი სტუდენტებს.

6. – თქვენს შენიშვნებს გაითვალისწინებთ, – დაგპირდა მომხსენებელი.

7. – კოლეგების მიზანი გასაგებია, – აღნიშნა ჯგუფის ხელმძღვანელმა.

8. – ხეალ ორ საათზე ვხვდებით, – შემახსენა პარტნიორმა.
9. – შემდეგ კვირაში ცუდი ამინდებია მოსალოდნელი, – გვაცნობეს ამინდის ბიუროს თანამშრომლებმა.
10. მსახიობი ამბობდა: – ასეთი ბედნიერება არც ერთ როლს არ მოუნიჭებია.

**სხვათა სიტყვის ნაწილაკების
(-მეთქი, -თქო, ო) ხმარების შემთხვევები:**

1. გახაზეთ სწორი ფორმა:
 გავიფიქრე, ეს გოგო რამხელა გაზრდილა-მეთქი.
 გავიფიქრე, ეს გოგო რამხელა გაზრდილა-თქო.
2. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, -თქო ან ო ნაწილაკი:
 მეზობლებს გადაეცი, დათო ხეალ ჩამოვა.....
3. გაასწორეთ შეცლომა:
 გამიხარდა, კიდევ კარგი ვერავინ დამინახა-თქო.
4. გახაზეთ სწორი ფორმა:

- ხომ გეუბნებოდით, ჩვენც მოვალთ-თქო.
- ხომ გეუბნებოდით, ჩვენც მოვალთო.
5. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, -თქო ან ო ნაწილაკი:
- შენ ხომ მითხარი, არაფერი გამოვა.....
6. გაასწორეთ შეცდომა:
- შეატყობინე, შენი და კარგად არისო.
7. გახაზეთ სწორი ფორმა:
- ხომ გაგაფრთხილე, ცოტა თავხედია-მეთქი.
- ხომ გაგაფრთხილე, ცოტა თავხედია-თქო.
8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, -თქო ან ო ნაწილაკი:
- ვამბობდი, გამოცდას ვერ ჩავაბარებ.....
9. გაასწორეთ შეცდომა:
- ნიკამ დარეკა, ვერ მოვალ-თქო.
10. გახაზეთ სწორი ფორმა:
- ყველას განუცხადე, იურისტობა არ მინდა-თქო.
- ყველას განუცხადე, იურისტობა არ მინდა-მეთქი.
11. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, თქო ან ო ნაწილაკი:
- ნანა ყვიროდა, თავი ღამანებუთ.....
12. გაასწორეთ შეცდომა:

რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ნუ ხარ მასე მორიდებული-თქო.

13. გახაზეთ სწორი ფორმა:

შენ ხომ დაგვპირდი, აუცილებლად მოვალ-თქო.

შენ ხომ დაგვპირდი, აუცილებლად მოვალო.

14. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -შეთქი, -თქო ან ო ნაწილაკი:

შენ ხომ მეუბნებოდი, ცოლის მოყვანას ჯერ არ ვაპირებ.....

15. გაასწორეთ შეცდომა:

თქვენ ამტკიცებდით, საკითხს გადავწყვეტთ-თქო.

16. გახაზეთ სწორი ფორმა:

ჩემს ცოლს შევაპარე, დღეს საქეიფოდ მივდივარო.

ჩემს ცოლს შევაპარე, დღეს საქეიფოდ მივდივარ-შეთქი.

17. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -შეთქი, -თქო ან ო ნაწილაკები:

შენს შვილს ხომ დავაპარე, დედაშენი გადმოვიდეს.....

18. გაასწორეთ შეცდომა:

გაანხენე, შენთვის არც კი მითქვამს და არც არაო.

19. გახაზეთ სწორი ფორმა:

ბებიაშენს შეახსენე, შენი პირობა არ დაგავიწყდეს-თქო.

ბებიაშენს შეახსენე, შენი პირობა არ დაგავიწყდესო.

20. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, -თქო ან ო ნაწილაკები:

ჩვენ არ დაგპირებივართ, ხელფასებს მოგიმატებთ.....

გაასწორეთ შეცდომები:

1. დავინტერესდი, რა ადგილია-თქვა.
2. შეგვეშინდა, უცხო ქალაქში არ დავიკარგოთ-თქო.
3. შენს მეზობელის უთხარი, არ დაგავიწყდეს, ვალი გაქვს გადასახდელიო.
4. შენ დაგიბარებია, ნურავინ შემაწუხებს-თქო.
5. ჩვენ არაფერი გვემუქრება-თქო, – თავს ვინუგეშებდით.
6. ხომ გაპირდებოდა, აუცილებლად მოვალ-თქო.
7. ჩვენს მეგობარს მივწერეთ, სააღდგომოდ გესტუმრებით-თქო.
8. თქვენ ხომ გვიმტკიცებდით, ცდა შედეგს არ მოგვიტანს-თქო.
9. რამდენჯერ გითქვამს, მაგის ერთი სიტყვაც არ მჯერა-თქო.
10. ჯაბამ იყვირა: არა ვარ დამნაშავე, არა-თქო.
11. შევწუხდით, ჩვენ ხომ არ გველოდებიან-თქო.
12. ერთხელ შენ იხუმრე, ლიკას გარდა ველარავის ვამჩნევ-თქო.
13. ელენემ დარეკა, დღეს ვერ მოვალ-თქო.
14. თამუნამ დამაბარა, დედაშენმა დამირეკოს-თქო.
15. გიმეორებ, მაგ ცოდნით ნიშანს ვერ მიიღებ-თქო.

16. ნინო გვარწმუნებდა, ეს წიგნი წაკითხული მაქვს-თქო.
17. შენ ერთხელ დაიქადნე, მაგ გოგოს ხელიდან არ გავუშვებ-თქო.
18. შარშან დაგპირდი, ზაფხულში ჩამოვალ-თქო.
19. თქვენ გვიმტკიცებდით, წელს კარგი მოსავალი იქნება-თქო.
20. ის ყველას მოგვიწოდებდა, დემონსტრაციაზე გამოდით-თქო.

სტილის საკითხები

გამართეთ წინადადებები შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

გოგონა ბურთით თამაშობდა, რომელიც მამამ აჩუქა.

გოგონა თამაშობდა ბურთით, რომელიც მამამ აჩუქა.

1. შარაგზა სოფლის ბოლოს იწყებოდა, რომელიც ტყეს უერთდებოდა.
2. ჩემმა მეგობარმა სტუმარი დაპატიჟა, რომელიც მისი მეგობარი იყო.
3. მდინარე ჩემს სოფელს ჩამოუდის, სადაც ხშირად დავდივართ ხოლმე.
4. ქუჩაში ქალი მიდიოდა, რომელსაც ლამაზი პალტო ეცვა.
5. ჩემს ოთახში ნახატი მიკილია, რომელიც ბიძაშვილმა მაჩუქა.
6. მუზეუმი თქვენ წინ არის, სადაც შეგიძლიათ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას გაეცნოთ.
7. სახლი მშენებლებმა ააშენეს, რომელიც უვარგისი აღმოჩნდა.
8. მალაზია ხუთ წუთში გაიღება, სადაც ყველა საჭირო პროდუქტს იყიდით.
9. ნათესავები ათ წუთში მოვლენ, რომლებიც დიდი ხანია არ მინახავს.
10. სკოლა ორი წლის წინ დავამთავრე, რომელსაც ახლაც სიაზოვნებით ვიხსენებ ხოლმე.

ნაპრ-კავშირები

1. გაასწორეთ შეცდომა:
ახალი კაბა ისეთი ლამაზი არ აღმოჩნდა, როგორც წარმოედგინა.
2. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რომელიც, ვინც):
სწორედ ის დუმს, ხმას უნდა იღებდეს.
3. გახაზეთ სწორი ფორმა:
პაპამ გადმოიღო ძველი ალბომი, სადაც ახალგაზრდობის ფოტოებს ინახავდა.
პაპამ გადმოიღო ძველი ალბომი, რომელშიც ახალგაზრდობის ფოტოებს ინახავდა.
4. გაასწორეთ შეცდომა:
ჯარმა ცოტა ხნით დაისვენა, რადგან შეტყვისათვის მოძლიერებულ იყო.
5. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რაც, რომელიც):
უცხად დავინახე ძველი შენობა, სხვა დროს არ შემიმჩნევია.
6. გაასწორეთ შეცდომა:
ზუსტად ის კლიენტი გამოჩნდა, ვინც უნდა მოსულიყო.
7. გახაზეთ სწორი ფორმა:
ამაზე ის ყურნალისტები საუბრობენ, ვინც ორი წლის წინ სხვაგვარად ფიქრობდნენ.

ამაზე ის უურნალისტები საუბრობენ, რომლებიც ორი თვის წინ სხვაგვარად ფიქრობდნენ.

8. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი კავშირი:

გოგონა ისეთი ლამაზი იყო, ფერია.

9. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (ვისაც, რომლებსაც):

შორს გამოჩნდნენ ტურისტები, გზა არეოდათ.

10. გახაზეთ სწორი ფორმა:

ძმისშვილი ისეთი გაზრდილი იყო, როგორც სიზმარში ნახა.

ძმისშვილის ისეთი გაზრდილი იყო, როგორც სიზმარში ნახა.

11. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი:

ეს ფილმი მომწონს, არ მომწონს.

12. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (კინც, რომელიც):

ის მორბოდა, გუშინ ციხიდან გამოიქცა.

13. გახაზეთ სწორი ფორმა:

იმის გამო, რომ მეგობრები ვერ შეთანხმდნენ, ექსკურსია გადაიდო.

იმისათვის, რომ მეგობრები ვერ შეთანხმდნენ, ექსკურსია გადაიდო.

14. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი:

ეს გახლავთ სახლ-მუზეუმი ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი.

15. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (ვინც, რომლებმაც):

..... გაკვეთილი არ იცით, კლასიდან გაბრძანდით.

16. გახაზეთ სწორი ფორმა:

ლელა ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ხუთი წლის წინ დატოვა.

ლელა ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ხუთი წლის წინ დატოვა.

17. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი:

შევეცდები მოვიღე, ცოტა დამაგვიანდება.

18. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რათა, რადგან):

წელს თოვლი თებერვალში დადნა, მთაში ადრე დათბა.

19. გახაზეთ სწორი ფორმა:

გუყურებდი მას, ვისაც თვალის დასანახადაც ვერ ვიტანდი.

გუყურებდი მას, რომელსაც თვალის დასანახადაც ვერ ვიტანდი.

20. მრავალწერტილის ადგილას ჩასვით შესაბამისი კავშირი:

მარანი ისეთი აღარ იყო, პაპამ დაუტოვა.

21. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (იმის გამო, იმისათვის):

....., რომ პატივისცემა დაიმსახურო, სხვებს უნდა სცე პატივი.

22. გახაზეთ სწორი ფორმა:

გონა დასახლდა ტყეში, რომელშიც გარდაიცვალა კიდეც.

გონა დასახლდა ტყეში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

23. გაასწორეთ შეცდომა:

ეს არის ერთადერთი ფილმი, სადაც რეჟისორის პოზიცია ბოლომდე არ ჩანს.

24. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (როგორიც, როგორც):

ატამი ტკბილი იყო, თაფლი.

25. გახაზეთ სწორი ფორმა:

ხალხი უყურებდა იმას, რომელსაც, წესით და რიგით, ამ ქალაქში აღარ დაედგომებოდა.

ყველა უყურებდა იმას, ვისაც, წესით და რიგით, ამ ქალაქში აღარ დაედგომებოდა.

26. გაასწორეთ შეცდომა:

მარი ისეთი გამხდარი აღარ იყო, როგორც – ბავშვობისას.

27. გახაზეთ სწორი ფორმა:

გოგონა უყურებდა სარკეს, რომელშიც თავის დაქალებულ სახეს ხედავდა.

გოგონა უყურებდა სარკეს, სადაც თავის დაქალებულ სახეს ხედავდა.

28. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რომელიც, ვინც):

სამსახურს ის დაიწყებს, კონკურსში გაიმარჯვებს.

29. გახაზეთ სწორი ფორმა:

სტიპენდიას ის სტუდენტი მიიღებს, ვინც სემესტრს ფრიადებზე დაამთავრებს.

სტიპენდიას ის სტუდენტი მიიღებს, რომელიც სემესტრს ფრიადებზე დაამთავრებს.

30. გაასწორეთ შეცდომა:

ახალი ფეხსაცმელი ისეთი გამძლე არ აღმოჩნდა, როგორც წინა.

31. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიშუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რათა, რადგან):

მწერლები აუცილებლად მოვლენ, ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ბავშვები დააჯილდოონ.

32. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი

ოჯახში ვერავინ მიხვდა, პატარას ძაღლის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირდა.

33. გახაზეთ სწორი ფორმა:

კერძი გაცივდა იმის გამო, რომ სტუმრებმა დააგვიანეს.

კერძი გაცივდა იმისთვის, რომ სტუმრებმა დააგვიანეს.

34. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიშუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (რაც, როგორიც):

მხატვარმა ზუსტად ისეთი ნახატი დახატა, შეუკვეთეს.

35. გახაზეთ სწორი ფორმა:

საჭიროა ხელფასების მომატება, რათა ხალხმა სოციალური პირობები გაიუმჯობესოს.

საჭიროა ხელფასების მომატება, რადგან ხალხმა სოციალური პირობები გაიუმჯობესოს.

36. გაასწორეთ შეცდომა:

ფურცელი, სადაც ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, დამეკარგა.

37. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული კავშირი:

მეკვლედ ის მეგობარი მოვიდა, არ ველოდი.

38. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (ვისაც, რომლებსაც):

სოფლის თავში ორი მოხუცი ცხოვრობდა,
ერთმანეთის გარდა არავინ ჰყავდათ.

39. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი:

მისმა გამოჩენამ კი არ შემაშინა, გამაკვირვა.

40. გაზახეთ სწორი ფორმა:

ეს ის სახლია, სადაც ჩვენ გავიზარდეთ.

ეს ის სახლია, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ.

ფრაზიოლოგიები

დააკვირდით ხაზგასმულ ფრაზებს და განმარტეთ:

1. შვილმა მშობლებს თავს ლაფი დაასხა.
2. მოხუცი შეილიშვილის მოვლას გულის აყლებს.
3. ძმას გულიდან ხომ ვერ ამოიგლეჯე.
4. ნათია მეგობრის მოლოდინში დროს კლავს.
5. ახალი ამბის გაგებამ თამაზი სახტად დატოვა.
6. ნუკამ თავის ახალ სათამაშოს უკვე ბოლო მოუღო.
7. ლალი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.
8. ოთარმა ლეონოს ადგილი მიუჩინა.
9. დედა შეილის მკვლელს არაფრის დიდებით არ აპატიებს დანაშაულს.
10. ნელი სხვის პრობლემებს არად დაგიღვეს.
11. შევეცდები, თქვენს შვილს ხელი შევუწყო.
12. საქველმოქმედო საზოგადოება აპირებს, ხელი გაგვიმართოს.
13. მტერმა ქალაქის ცენტრი ხელში ჩაიგდო.
14. ნაცარქექიამ დევი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.
15. ნუნუ ციბრუტივით ტრიალებს.
16. რამაზს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.
17. ლელას ეს ბიჭი არ ეპიტნავენა.

18. თინიკოზე აპობენ, ავ თვალს არ დაენახებოდნენ.
19. ჩვენს კოლეგას ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი უყვარს.
20. ეთერს ოქროს გული აქვს.
21. თამუნას ენაზე არაფერი დაადგება.
22. ჩემი მეგობარი დღე-ღამე ასწორებს, რომ უნივერსიტეტში ჩაირიცხოს.
23. ვაჭარმა მეზობელი მშრალზე დატოვა.
24. ბებიაჩემს ჩემს ბიძაშვილზე გული ეწვივს.
25. მტერმა ქალაქი ნაცარტუტად აქცია.
26. ამ ადამიანს თავზე ხელი აქვს აღებული.
27. სტუმარს თვალში ეცა ლუარსაბის დანგრეული სახლ-კარი.
28. ილიამ შუქი მოჰფინა ჩვენი ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებს.
29. პრესამ ცნობილ პოლიტიკოსს ცილი დასწამა.
30. თონა ხელის გულზეა გაზრდილი.
31. თეა თითით საჩვენებელი ბავშვია.
32. მიშკოს თავის მოკატუნება კარგად გამოსდის.
33. ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილ ელენეს გადაწყვეტილება მეგობრებმა მიაღებინეს.
34. ამ ოთახში თავი კულს ვერ მოიბრუნებს.
35. მეგობარმა ზაზას თვალი აუხილა.
36. ყაჩაღები მახეში გაებნენ.

37. ცულ გზაზე დამდგარი ადამიანისათვის ლაგამის ამოღება არც ისე იოლია
38. ბაში-აჩუკმა მტრის ფალაგანს კისერი მოუვრიხა.
39. მისმა საქციელმა მთელი სკოლა ლაღში ამოსვარა.
40. ცნობილი პოლიტიკოსი ჟურნალისტებს ცამდე აჰყავთ.
41. ბებია შეილიშვილს სულში იძვრენს.
42. გლეხკაცი ოჯახის სარჩენად წელებზე ფეხს იდგამს.
43. ოთარს გული ეუბნება, რომ პირობას არავინ შეუსრულებს.
44. ამ გოგოს ცხვირი აქვს აწეული.
45. როგორც ვატყობ, მარიამი ტყემალზე ზის.
46. პეტრემ ყველა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.
47. მეშინია, ყელში დანა არ გამოგისვას.
48. ღათოს მაკას სილამაზემ თვალი მოსჭრა.
49. ახალმა მოსწავლემ მასწავლებლებს სისხლი გაუშრო.
50. მოხუცებულ მშობლებს უხაროდათ, რომ ქალიშვილი პატრონს ჩააბარეს.
51. ხანდახან მგონია, რომ ნინო ჭურში ზის.
52. თამაზის გამოსვლამ წყალი აამღვრია.
53. მათ შორის შავმა კატამ გაირბინა.
54. მისი არგუმენტები ქვას გახეთქავს.

55. ეკა ცუდად მოიქცა, მაგრამ ნემსის ყუნწში გაძვრა და შეცდომა გამოასწორა.
56. ნესტანი გრძნობს, რომ დამნაშავეა, მაგრამ იხტიბარს არ იტყვის.
57. ნოდარმა ლევანს დათუური სამსახური გაუწია.
58. მამამ გაგიგო, რომ ირაკლიმ სწავლას მოუკლო და ამის გამო ტყავი გააძრო.
59. ვახტანგს ჯერ პირზე რბე არ შეშრობია და უკვე ამდენს ბედავს.
60. მაიამ უცნობის დანახვაზე ერთი სიცოცხლე გაათავა.
61. ავადმყოფმა ერთი ამოიკენესა და სული განუტყვა.
62. უსაქმური შვილის მშობლებს კისერზე აზის.
63. ერთ დროს საბა მარის კალთებს აგლეჯდა, ცოლად წამომყევით.
64. ლუკა თავის უმცროს ძმას მხარში უდვას.
65. არ მოგებზრდა დილიდან სალამომღე ნაცრის ქექვა?
66. მშობლები ანას ცივ ნიავს არ აკარებდნენ.
67. აჯანყებულებმა პირი შეკრეს და ძალების გაერთიანება გადაწყვიტეს.
68. ნათელას გაუთავებელმა წუწუნმა ტვინი წაიღო.
69. პატარას სულმა წასძლია და მეზობლის ყურძენი დაკრიფა.
70. სული რომ მოითქვა, ლეილამ პურის ცხობა განაგრძო.
71. რამდენმე წელში ოჯახი ფეხზე დადგა.
72. კვაჭი კვაჭანტირაძემ ფხა გამოიჩინა და ბევრი ფული იშოვა.

73. როგორც ვიცი, გურამი თავის მშობლებს სისხლს უშრობს.
74. თუ არ მიჯერებს, თავი ქვას ახალოს.
75. ზუკა თვალის დახამხამებაში შინ გაჩნდა.
76. მასწავლებლები ამბობენ, რომ ამ სახელმძღვანელომ თავისი დრო მოჭამა.
77. მეგობრის გასაჭირი სოფიკომ გულთან ახლოს მიიტანა.
78. ამ ადამიანმა ყველა ახლობელი ჯვარს აცვა.
79. ფრთხილად, მაგაზე ამბობენ, რომ სადაც მიდის, ყველგან წყალს ამღვრევს.
80. მარწყვის დანახვაზე გვანცას პირზე ნერწყვი მოადგა.
81. რომ დავმარცხდე, მაინც არ დავყრი ფარ-ხმალს.
82. მომაკვდავმა სული განუტევა.
83. მაგას ქვეყნის უბედურება ჩირადაც არ უღირს.
84. ბატონმა ყმას მუშაობით სული ამოხადა.
85. ვაჟი ქალს ჰპირდებოდა, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ერთგული იქნებოდა.
86. ამ საქციელით მათს განზრახვას ფარდა აეხადა.
87. გარწმუნებ, ლალო იოტის ოდენადაც არ არის დამნაშავე.
88. ამ გამომსვლელს ენა უჭრის.
89. თანამშრომლებს მობეზრდათ ღირექტორისათვის გუნდრუკის კმევა.
90. კმაყოფილი გოჩა ბოლთას სცემდა.

91. ლუკაზე ამბობენ, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო.
92. იმ ამბის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა.
93. ამ ისტორიის მოსმენისას სოფიკოს თვალები აუწყლიანდა.
94. ზურას ბუზის სპილოდ ქცევა უყვარს.
95. რატის მეზობლის სტუმარი თვალში მოუვიდა.
96. დათო ტყავიდან ძვრება, საქმე კარგად გააკეთოს.
97. ბექა ლუკას ისე მოექცა, რომ თვალს ვერ უსწორებს.
98. ღელამისი მაგას შავ დღეს დაყენებს.
99. ქართველთა ჯარმა მტერს კუდით ქვა ასროლინა.
100. მის მოსვლამდე ეკლებზე ვხივარ ხოლომე.
101. სანდრომ თავისი ოჯახის სახელი ლაფში ამოავლო.
102. რა მოუვიდა, ცოფებს რატომ ყრის?
103. მის ხსენებაზე პირიდან ნაპერწკლებს ყრის.

სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა

დააკვირდით ფრაზებს. პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებულ ზედსართავ სახელებს ერთი ხაზი გაუსვით, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულს – ორი:

მაღალი ქალი; მტკიცე ხელი; წმინდა გრძნობა; სუფთა ფურცელი; მძიმე ხასიათი; მაღალი საზოგადოება; ტკბილი ძილი; წმინდა გული; ბნელი ზრახვები; ბრწყინვალე კარიერა; ურყევი გადაწყვეტილება; ფართო საზოგადოება; წმინდა ძაფი; მაღალი კლასი; კეთილი განზრახვა; ახლო მეგობარი; ახალი თაობა; ცხარე ცრემლი; შავი დღე; ახალი კარტოფილი; მაღალი მთა; სუფთა სამუშაო; ტკბილი სიზმარი; შავი მანქანა, მტკიცე ხასიათი; წმინდა განზრახვა; ბნელი საღამო; ოქროს გული; მტკიცე უარი; მშრალი სარეცხი; მაღალი ხმა; მზის ბრწყინვალეობა; მყარი პასუხი; კოჭლი ხუთიანი; ცივი ღიმილი; კეთილი საქმე; ბოროტი ხუმრობა; ტკბილი ყურძენი; ბნელი ძალები; მწარე სიმართლე; მძიმე საქმე; სუფთა მოგება; სასტიკი დამარცხება; ჯანსაღი ამბიცია; ახალი ძალები; მაგარი ზურგი; მხურვალე ვედრება; შავი ბუღალტერია; ღრმა მდინარე; ცივი სახე; ბოროტი განზრახვა; ნათელი პასუხი; მძიმე მდგომარეობა; შავი ქლიავი; კეთილი ტყუილი; ტკბილი წვენი; მტკივნეული მოგონება; თბილი შეხვედრა; ცივი გული; მხურველე ლოცვა; შორეული ქალაქი; მაღალი ჯილდო; ყრუ ტკივილი; ბოროტი ადამიანი; წმინდა გრძნობა; ბინძური აზრები; თავაზიანი გოგონა; მშრალი თხზულება; მაღალი მატერიები; ოქროს ბეჭედი; ცივი ტონი; შავი სამყარო; ახალი მიდგომა; კეთილი სურვილები; მტკიცე მეგობრობა; ბნელი აზრები; მძიმე კალათა; მაგარი ქვა; სულიერი არსება; უღმობელი გადაწყვეტილება; ცივი გონება; თბილი ფერი; სადი აზრი; ჯანსაღი სხეული; ღრმა ფიქრი; რკინის ხმალი; წმინდა სისხლი; მშრალი პასუხი; სულიერი მოთხოვნილება; ცხარე კერძი; ყრუ კაცი; ფართო ქუჩა; შავი ძალები; კეთილი გოგონა; უღმობელი მტერი; შავი დღე; თავაზიანი უარი; ცხარე კამათი; მკვანე ვაშლი; შორეული ნათესავი; მძიმე წუთები; მტკიცე ხელი; ნათელი დღე; სქელი ხელი; თბილი წვნიანი; სქელი ჯიბე; ბრმა მოხუცი; წმინდა გრძნობა; სუფთა სახლი; ბრმა ნღობა; მწვავე დისკუსია; წმინდა საცერი; დაბინდული გონება;

ტკბილი სიტყვა; წმინდა საქმე; კეთილი საქმე; ცივი კლიმატი; საღი ხილი; ცხარე კამათი; ყრუ კედელი; მაგარი სასმელი; ღრმა ძილი; ბუნდოვანი აზრი; ცივი დახვედრა; თბილი საღამო; მძიმე ფიქრი; ნათელი საკითხი; მტკივნეული იარა; ფართო მასშტაბი; ბრმა ტყვია; მკვანე სიტყვა; მხურვალე სხეული; ცარიელი სიტყვა; წრფელი გული; ბნელი წარსული; ბინძური ფული.

უცხო სიტყვები

შეცვალოთ სათანადო ქართული სიტყვებით:

1. აბორიგენი მოსახლეობა ექვის თვალით უყურებდა თეთრკანიან მოგზაურებს.
2. ის დიდხანს მუშაობდა უშიშროების აგენტად.
3. ავრესორი დაპყრობილ ხალხებს სასტიკად უსწორდებოდა.
4. ადაპტაციის პერიოდმა იოლად ჩაიარა.
5. ქალაქის ადმინისტრაცია ცვლილებებს გეგმავს.
6. ერთ-ერთი შტატი ავტონომიას ითხოვს.
7. მასზე ამბობენ, ჩამოყალიბებული ალკოჰოლიკაო.
8. მასზე ამბობენ, ამორალური თავგადასავლების მოყვარულიაო.
9. ანალოგიური დასკვნა შეუღმა მეცნიერებმაც გააკეთეს.
10. ფირმა გაბანკროტდა და შალევე დაიხურა.
11. უცნაურობა გენიალურ შემოქმედთა დამახასიათებელი თვისებაა.
12. ახალგაზრდებმა დებოში ატეხეს.
13. ამ წიგნს დეფექტი აქვს.
14. ოცდაათიან წლებში ქართველები ემიგრაციაში წავიდნენ.
15. ახალგაზრდა მსახიობი დიდი ენტუზიაზმით შეუდგა მუშაობას.
16. ჩვენი მეგობარი ერუდირებული ადამიანია.
17. ამ ფირმას რამდენიმე ვაკანსია აქვს.

18. თორნიკეზე ამბობენ, კუნდერკინდიაო.
19. ნათია ამ საქმის ინციტორია.
20. კანბალეები სასტიკად დასაჯეს.
21. ახალდაქორწინებულებმა კომფორტული ბინა შეიძინეს.
22. ახალგაზრდების ჯგუფმა კრიმინალი ჩაიდინა.
23. აჯანყების ლიდერები ქალაქის ცენტრში შეიკრიბნენ.
24. მედიატორი საქმის მოგვარებას ცდილობდა.
25. მინიმალური დანახარჯების მიუხედავად, მშენიერი საღამო გამოვიდა.
26. ორატორი ძალიან საინტერესო სიტყვას წარმოთქვამდა.
27. ჩვენი პროფესორი პოლიგლოტია.
28. პოლემიკა ურთიერთშეთანხმებით დამთავრდა.
29. „ვეფხისტყაოსანი“, შუა საუკუნეების მრავალი ნაწარმოების მსგავსად, პროლოგით იწყება.
30. დედამ შვილს სიურპრიზი გაუკეთა.
31. ზურაბ გალდავას უნივერსალური განათლება აქვს.
32. ორგანიზაციის ფორმირებას ხუთი წელი დასჭირდა.
33. ამ ოთახში საშინელი ქოსია.
34. პრესას ცენზურა დაუწესეს.
35. ბიძაჩემი ჰუმანური აღამიანია.
36. მიხეილ ხერგიანი ცნობილი ალპინისტი იყო.

37. ამის კლიო მჭირდება.
38. ჩემი ძმა ტურისტულ სააგენტოში ვიდად მუშაობდა.
39. ოპტიმისტები ბენდიერად ცხოვრობენ.
40. ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჩემი ნათესავია.
41. თქვენს გადაწყვეტილებას აბსოლუტურად ვეთანხმები.
42. გუშინ სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატმა.
43. საქართველოს საკმაოდ კარგად მომზადებული არმია ჰყავს.
44. საზოგადოებას აინტერესებს ცნობილი არტისტების ცხოვრება.
45. არბიტრი უსამართლოდ მოექცა „დინამოს“ ფეხბურთელებს.
46. მასწავლებლის მისიაა, მოსწავლეს საგნის სიყვარული შთაუნერგოს.
47. მერაბმა ორი პორცია მწვადი შეუკეთა.
48. მწერალი თავის ნაწარმოებებში უხვად იყენებს არქაულ სიტყვებს.
49. გუშინ პრეფერანსის ორი პარტია ვითამაშეთ.
50. ღირებულებების დევალვაცია თანამედროვე საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი.
51. ეს ერთ-ერთი უძველესი ალფაბეტია.
52. კოლეჯში დასავლეთში განათლებამიღებული ქედაგოგები ასწავლიან.
53. ორი ეგზემპლარი დაგჭირდებათ.
54. მოსამართლის გადაწყვეტილებას ადექვატური რეაქცია მოჰყვა.

55. სამყაროს ევოლუცია ხანგრძლივი პროცესი იყო.
56. პრივილეგია ცხოვრების წესით უნდა დაიმსახურო
57. ლაღოს ათლეტური აღნაგობა აქვს.
58. ახალმა მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ცნობილ პოლიტიკოსს ჩააბარა.
59. ჩვენი ლექტორი ობიექტური ადამიანია.
60. ეს არქიტექტურული კომპლექსი V საუკუნეშია აშენებული.
61. ნაციონალური იდეების ერთგულება ყველა პატრიოტის ვალია.
62. სატანა დიდხანს ებრძოდა ბერს.
63. კოტე ჰუმანური ადამიანია.
64. ფინალური კონცერტი ნიუ-იორკში გაიმართა.
65. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა.
66. საფრანგეთი ამ ალიანსის წევრია.
67. ჯონ სმიტი ათეისტი.
68. რომანში სულ სამი პერსონაჟია.
69. ანალოგიური შედეგები მიიღო სოციოლოგთა მეორე ჯგუფმაც.
70. გირჩევთ, თქვენი დოკუმენტები მოაწესრიგოთ.
71. საზოგადოებას ვერდიქტი ზედმეტად მკაცრად მოეჩვენა.
72. ჩემი მეგობარი ცნობილი ადამიანების ხმის იმპაქციას აკეთებს.
73. ორივე მხარე კომპრომისზე უნდა წავიდეს.
74. ქალბატონი ქენტორული ტონით საუბრობდა.

75. ეს ნაწარმოები დიდაქტიკურ თემაზეა შექმნილი.
76. დარბაზში მინიატურული ფიგურები გამოფინეს.
77. პასიურობით ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ.
78. ახალდაარსებული ფირმის პრეზენტაცია ხვალ გაიმართება.
79. ნათია თავისი ასაკისათვის ზედმეტად სერიოზული ბავშვია.
80. ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია.
81. კონკურსანტმა მაქსიმალური ქულა მიიღო.
82. ოპონენტის მცდელობამ შედეგი ვერ მოიტანა.
83. ცდა კრახით დამთავრდა.
84. ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა.
85. დიდი მონღოლებით მუშაობდა იუკელირი ახალ ნაკეთობაზე.
86. ალექსანდრეს ტრიუმფით დახვდნენ თავის ქვეყანაში.
87. მინისტრმა ახალ პროექტში კორექტივები შეიტანა.
88. თქვენს გადაწყვეტილებას აბსოლუტურად ვეთანხმები.
89. დისკუსია ოც წუთს გაგრძელდა.
90. ლადო პესიმისტია.
91. მსმენელმა მომხსენებლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა.
92. გირჩევ, ლაკონიურად ილაპარაკო.
93. გაფიცულთა კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, მთავრობა დათმობაზე არ წავიდა.

94. მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.
95. ამ საქმეს პოზიტიური მხარეც აქვს.
96. რეფორმების აუცილებლობას აღარაეინ უარყოფს.
97. რომის იმპერატორი ტირანი იყო.
98. ეს სკულპტურა ცნობილ მოქანდაკეს ეკუთვნის.

სინონიმები

1. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *შეზარხოშებულის* სინონიმი:
..... ოთარი ხალხურ სიმღერებს ღლინებდა.
2. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვის *მუსაიფობდნენ* სინონიმი:
პროფესორები უნივერსიტეტის წინ შეკრებილიყვნენ და
.....
3. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ურჯოლას* სინონიმი:
ავადმყოფს ტემპერატურა აეწია და დაეწყო.
4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *კალერსებას* სინონიმი:
ღედა შვილს
5. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აგოს* სინონიმი:
არსაკიმემ სვეტიცხოვლის ტაძარი
6. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *სატუსალოს* სინონიმი:
სადღესასწაულოდ ცნობილი ადამიანები ეს-
ტუმრნენ და პატიმრები მონინახულეს.
7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ამაოს* სინონიმი:
სამწუხაროდ, ვიმრომე, არაფერი გამომვიდა.
8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გულთბილის* სინონიმი:

ეთერი ბავშვია.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აძვირის* სინონიმი:
მათხოვარს ამ ქონის გარდა არაფერი
10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აკლებულის* სინონიმი:
მტრისაგან ქალაქი ჭრილობებს იშუშებდა.
11. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ამოკლუტას* სინონიმი:
შპკ-აბასმა კახელების ძალ-ღონე არ დაიშურა.
12. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *არაქთვამოკლილის* სინონიმი:
. გლეხი კაკლის ჩრილში წამოწვა.
13. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ამბობებს* სინონიმი:
სახალხო შედეგი გამოიღო და მთავრობა დათმობა-ზე წავიდა.
14. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აფორიაქებულის* სინონიმი:
. მოხუცი ხმამაღლა საუბრობდა.
15. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აურჯაურის* სინონიმი:
ამ გაძლება აღარ შემძღვია.
16. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გარჯას* სინონიმი:
გლეხკაცს მთელი წლის დაუფასდა და მთელი წლის სარჩო-საბადებელი მოიწია.
17. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *უქნარას* სინონიმი:

..... კაცი საზოგადოების პატივისცემას ვერ იმსახურებს.

18. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *თვალწარმტაცის* სინონიმი:

სასტუმროს ფანჯრიდან ხელი იშლება.

19. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *საწყალის* სინონიმი:

..... ბავშვი ქუჩა-ქუჩა მათხოვრობდა.

20. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აილეწას* სინონიმი:

გოგონა უხერხულობისაგან

21. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *სვედიანის* სინონიმი:

..... ისტორიის მოსმენამ ყველა დააფიქრა.

22. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აბობოქრებულის* სინონიმი:

..... ზღვაზე საშიში არაფერია.

23. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ამალას* სინონიმი:

მეფე თავისი სანადიროდა წავიდა.

24. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *კოცნას* სინონიმი:

ნება მომეცით, ხელზე

25. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაშმაგებულის* სინონიმი:

..... ირაკლი მეზობელს ეკამათებოდა.

26. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აშკარაას* სინონიმი:

....., რომ „დინამო“ ვერ გაიმარჯვებს.

27. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მოგებას* სინონიმი:
ჩვენმა მორაგებებმა ამ მატჩშიც
28. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ბაახის* სინონიმი:
მათი მოსმენა ყველას სიამოვნებდა.
29. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *შუყაითის* სინონიმი:
თამარი მოსწავლეა.
30. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ზორბას* სინონიმი:
..... ვაჟკაცი საჭიდაო მოედანს მიუახლოვდა.
31. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ბუნდოვანის* სინონიმი:
უნდა გითხრათ, რომ ეს აზრი
32. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ბლუჯას* სინონიმი:
ემიგრაციაში მიმავალ ქართველებს თან ერთი ქარ-
თული მიწა მიჰქონდათ.
33. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გამათილებას* სინონიმი:
სასამართლომ პარტიის გადაწყვეტილება
34. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაგვაკვირვას* სინონი-
მი:
ლიმიტრის გადაწყვეტილებამ ყველა
35. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ვაშმაგებულის* სინო-
ნიმი:

- ამირანს ჭკუა აღარ მოეკითხებოდა.
36. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაკიცხვას* სინონიმი:
 დამეთანხმეთ, რომ თქვენი საქციელი იმსახურებს.
37. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაკილვას* სინონიმი:
 ქართველები ამბობენ, რომ კაცი არ მოუკლავ-
 სო.
38. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მკვიდრის* სინონიმი:
 ქართველები ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ.
39. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *კრიალას* სინონიმი:
 ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ.
40. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ჩინებულის* სინონიმი:
 ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ სპექტაკლი
 გამოვიდა.
41. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მზკოვანის* სინონიმი:
 მსახიობი მოგონებებითა ცხოვრობდა.
42. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ანცის* სინონიმი:
 ბავშვები არ ისვენებდნენ.
43. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გვჯდრებას* სინონიმი:
 შვილი დედას რაღაცას
44. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მყუდროს* სინონიმი:
 ჩემი მშობლები ქუჩაზე ცხოვრობენ.

45. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაუტლანქლას* სინონიმი:
 ამდენი მუშაობისაგან შალვას ხელები
46. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაეშურას* სინონიმი:
 ნიკა ჩქარი ნაბიჯებო შეხვედრის ადგილისაკენ.
47. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ციცქნას* სინონიმი:
 გოგონა ქვიშაში თამაშობდა.
48. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვის *უცერად* სინონიმი:
 ძველი ნაცნობი შევნიშნე.
49. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გავიჟღებას* სინონიმი:
 ამას რომ გაიგებს, გიორგი
50. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაფლანგვას* სინონიმი:
 XIX საუკუნეში ქართველმა არისტოკრატებმა ქონება
51. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მოეთხოვებას* სინონიმი:
 ყველა სტუდენტს , რომ ჩათვლები და გამოცდები დროულად ჩააბაროს.
52. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მიტკეებას* სინონიმი:
 ამ დანაშაულის იოლი არ არის.
53. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვის *იჯავრებ* სინონიმი:

ძალიან გთხოვ, მაგაზე ნუ

54. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაზვიადებულის* სინონიმი:

მე თუ მკითხავ, შენი ეჭვები

55. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაკნაჭულის* სინონიმი:

პეპი გრძელიწინდა გოგო იყო.

56. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაკოჭილის* სინონიმი:

. ქურდი სოფლის პოლიციაში მიიყვანეს.

57. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მოკურცხლას* სინონიმი და შესაწორეთ წინადადება:

ატმის პატრონის დანახვაზე სანდრომ უკანმოუხედავად

58. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გალაგანის* სინონიმი:

ლაშას სახლს ქვის არტყია.

59. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გალიციციკების* სინონიმი:

. ღოჭიდან ღვინო დაიღვარა.

60. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაქვავდას* სინონიმი:

თიხა ისე, რომ ოსტატმა ვერაფერი მოუხერხა.

61. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გამასხარავენას* სინონიმი:

. ჩანჩურას სულაც არ სწყინდა.

62. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ხელმწიფეს* სინონიმი:
 დანახვაზე სტუმრები ფეხზე აღგნენ.
63. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ლაშქარის* სინონიმი:
 ქართველთა საბრძოლველად ემზადებოდა.
64. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *წველიადის* სინონიმი:
 ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ გაჩერება არ შეიძ-
 ლებოდა.
65. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *თავაზიანობის* სინონი-
 ნიმი:
 ბიძაჩემმა ყველას გვასწავლა წესები.
66. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მჩატეს* სინონიმი:
 ბარგი არ იყო, ამიტომაც მტვირთავი დავიხმა-
 რეთ.
67. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ნაღვლიანის* სინონიმი:
 მოხუცს კვლავ აუშალა ფიქრები.
68. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ნაცრისფერის* სინონი-
 მი:
 საქართველოში მკელი ბინადრობს.
69. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *სამაგალითოს* სინონი-
 მი:
 თეკლა ყველასათვის ბავშვია.
70. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *საბრალოს* სინონიმი:

..... ქერივი მთელ დღებს შრომაში ატარებდა, რომ
შვილებისათვის ლუკმა-პური არ მოეკლო.

71. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *უღვდამძოს* სინონიმი:
საქველმოქმედო საზოგადოებამ თავშესაფარს
საჩუქრები გადასცა.
72. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მზიარულის* სინონიმი:
მიშიკო მზიარული ბავშვია.
73. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *პაქრობას* სინონიმი:
მათი შეთანხმებით დამთავრდა.
74. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვის *ვახლავთ* სინონიმი:
ბატონი ივანე შინ არ
75. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *უსინათლოს* სინონი-
მი:
..... ქალი ქუჩაში მიდიოდა.
76. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გამობრუყულის* სინო-
ნიმი:
..... გლეხები სოფლის გზაზე მიბანცალებ-
დნენ.
77. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მოიწვიას* სინონიმი:
სადღესასწაულო სადილზე დედამ თავისი მეგობრები
78. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვის *ჭამდნენ* სინონიმი:
სტუმრები მწვადს

79. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ყუათიანის* სინონიმი:
 მთაძსულელებს საკეები სჭირდებათ.
80. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *თაკარას* სინონიმი:
 შუადლის მზემ ყველას კანი დასცვა.
81. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაკვირებას* სინონიმი:
 დიდი ხნის უნახავი მეეტლე იაგორას გამოჩენამ სოფელში
 გამოიწვია.
82. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *აყალმაყალის* სინონიმი:
 არასასურველმა სტუმარმა გამოიწვია.
83. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გაუბედავის* სინონიმი:
 ახალგაზრდამ გოგონას სიყვარული აუხსნა.
84. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გატრუნულის* სინონიმი:
 პატარა იწვა.
85. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ახალშობილის* სინონიმი:
 ოჯახში სიხარული შეიტანა.
86. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გატაკებულის* სინონიმი:
 ძიძიათი ონისემ მოვალეობა დაივიწყა.
87. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *გამცემის* სინონიმი:

ქართველებს ყოველთვის სძულდათ.

88. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *დაკონკილის* სინონიმი:

. მათხოვარი ჩვენს სახლს მოადგა.

89. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით *შეუჩერებლად* სიტყვის სინონიმი:

ღილიდან თოვდა.

90. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *საკვირველის* სინონიმი:

ბავშვობაში აშბავი გადამხდა თავს.

91. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *სახელმოხვეჭილის* სინონიმი:

. მეცნიერს იუბილე გადაუხადეს.

92. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით *შვითავ* სიტყვის სინონიმი:

მზია, ტყუილად ნუ

93. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ფიცხელის* სინონიმი:

კრწანისის ველზე ბრძოლა გაიმართა.

94. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მებრძოლების* სინონიმი:

მარაბდის ველზე შეკრებილი მხედართმთავრის გამოჩენას ელოდებოდნენ.

9 5. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *წიგნიერის* სინონიმი:

..... ადამიანები ყველას კეთილგანწყობას იმსახურებენ.

96. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *უკიდევანოს* სინონიმი:

წყვილი ზღვის სივრცეს გასცქეროდა.

97. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *საუცხოოს* სინონიმი:

ნინო ჭავჭავაძის გარეგნობა ნებისმიერ მნახველს ატყვევებდა.

98. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *დაეცას* სინონიმი:

პატარა და ცხარე ცრემლებით ატირდა.

99. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მაშულის* სინონიმი:

..... ბრძოლაში დაღუპულებს ხალხი გმირებად იხსენიებს.

100. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *ავა ზაკის* სინონიმი:

..... ნადარცეს ტყეში მალავდა.

101. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *დაძაბუნებულის* სინონიმი:

..... მოხუცი ძლივსღა ლაპარაკობდა.

102. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *მოიჩიტას* სინონიმი:

პატარა თვალსა და ხელს შუა

103. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა *დაჩიკვებულის* სინონიმი:

შიშშილისაგან ხალხს წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ ჰქონდა.

104. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა იარას სინონიმი:

..... მებრძოლს თავი შეახსენა.

105. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა სულგანაბულის სინონიმი:

მარიკა უსმენდა ზღაპარს.

106. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სიტყვა უშრეტის სინონიმი:

ნანაზე ამბობენ, ენერგია აქვსო.

ანტონიმები

ისრებით შეაერთეთ ანტონიმური წყვილები ან მოუწერეთ შესაბამისი ნომერი:

1. ლილიპუტი

2. მკაცრი

3. დასაბამი

4. მიწა

5. ზღვა

6. ჩაცმა

7. სიყვარული

8. ბუნებრივი

9. მიწიერი

10. ხმაური

11. ლაპარაკი

12. მსუბუქი

13. მჭლე

14. სიკვდილი

15. გაყინვა

ხმელეთი

გახდა

მძიმე

სიჩუმე

ცა

ლმობიერი

ზეციური

ღუმილი

სიბუღვილი

გოლიათი

გალღობა

დასასრული

ხმელეთი

ქონიანი

ხელოვნური

1. ანტიკური

2. თავაზიანი

3. ბრძენი

4. ლაჩარი

5. მუდმივი

6. სახალისო

7. მატება

8. გულადი

9. ეშმაკი

10. სიცხე

11. ტირილი

12. აღელვება

13. მკვდარი

14. კლასიკური

15. განვითარება

გმირი

ცვლადი

თანამედროვე

მოსაწყენი

ჩამორჩენა

სიცილი

მზდალი

ანგელოზი

სიცივე

კლება

მოდერნისტული

დამშვიდება

ცოცხალი

უზრდელი

სულელი

1. შეცვალეთ სიტყვა *მეჩხერი* საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

..... ტყეში ცხოველები სახლდებიან.

2. შეცვალეთ სიტყვა *ხორციელი* საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

..... ინტერესებით ცხოვრება მაღალზნეობრივი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი.

3. შეცვალეთ სიტყვა *აიხის* საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ნოდარი ტბის პირას იჯდა და უყურებდა.

4. შეცვალეთ სიტყვა *აღელვებული* საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ქეთის ზღვის ყურება უყვარს.

5. შეცვალეთ სიტყვა *ხელოვნური* საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

დავითი სოფელში იყო ცნობილი.

6. შეცვალეთ სიტყვა *გულჩათხრობილი* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და გამოტოვებულ სათანადო ადგილას:

ლევანი ბიჭია.

7. შეცვალეთ სიტყვა *აქებს* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ამ რომანს ყველა

8. შეცვალეთ სიტყვა *ერთგული* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

..... ფეოდალებს მეფე სასტიკად გაუსწორდა.

9. შეცვალეთ სიტყვა *უსაქმურობდა* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

შევირდი მთელი წელი გულმოდგინედ და ოსტატის ქება დაიმსახურა.

10. შეცვალეთ სიტყვა *ნოტიო* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ამ ადგილებში კლიმატია.

11. შეცვალეთ სიტყვა *მინელდა* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ბუხარში ცეცხლი

12. შეცვალეთ სიტყვა *შეიპყრო* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

მთიულმა ლეკი

13. შეცვალეთ სიტყვა *დაწყველა* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

დედაბერმა უცნობი მგზავრი

14. შეცვალეთ სიტყვა *დადებითი* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

თუ პასუხს მივიღებ, ბრძოლას ვეღარ გავაგრძელებ.

15. შეცვალეთ სიტყვა *სუფთა* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ლუარსაბ თათქარიძეს ეზო-კარი ჰქონდა.

16. შეცვალეთ სიტყვა *მოქუფრული* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ბავშვები ცას უყურებდნენ.

17. შეცვალეთ სიტყვა *თავადები* საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

თავადებიცა და სოფლის ეკლესიაში შერებილიყვნენ.

ომონიმაჟი

ვახაზეთ სიტყვები, რომელთაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. შეადგინეთ მათი გამოყენებით წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
(ნიმუში: ადრე – ნიკა დღეს ადრე ადგა; ადრე, ჩვენი პაპების დროს, სხვანაირად ცხოვრობდნენ).

- | | |
|------------|------------------|
| 1. გული | 17. ქუჩა |
| 2. სკამი | 18. ენა |
| 3. დელა | 19. ღვიძლი |
| 4. დოღი | 20. სათავე |
| 5. პირი | 21. სკოლა |
| 6. მძიმე | 22. ზურგი |
| 7. ხელი | 23. ნაღველი |
| 8. თვალი | 24. კლასი |
| 9. ბარი | 25. მამული |
| 10. ქვევრი | 26. ტონა |
| 11. ანკარა | 27. თვითმფრინავი |
| 12. თავი | 28. კილო |
| 13. კბილი | 29. საათი |
| 14. მაგიდა | 30. მიწა |
| 15. ჯამი | 31. ხელთათმანი |
| 16. ბანი | 32. თვალი |

33. ყური

34. ფენა

35. ციხე

36. ნიშანი

37. ეშმაკი

38. ღონე

39. გაცემა

41. ეთერი

42. გადაცემა

43. მილი

44. წვერი

45. ბრჭყალები

46. წერა

47. ლომი

48. ბაკი

49. ალილო

50. ბეჭედი

